



შირაკი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოცემის 1937 წლიდან

№8 (9.524)

16 პარტი 2012 წელი

ფასი 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„აქი არაფერია გაზეთიო?“

ლევან ბაღაშვილი:

„საზღვრისპირა სოფლებში წყლის პრობლემის მოგვარებამ მიგრაცია შეაჩერა“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან ბაღაშვილის განმარტებით, აზერბაიჯანის მოსაზღვრე ქართულ სოფლებში ბოლო წლებში წყლის პრობლემის მოგვარებამ მიგრაცია მნიშვნელოვნად შეამცირა. მისი თქმით, გასულ წლებში, საზღვართან ჩასახლებული ადამიანები სამუშაოს საძიებლად საზღვარგარეთის ქვეყნებში მასობრივად გადიოდნენ, თუმცა წყლის საკითხის დარეგულირების შემდეგ ტენდენცია შეიცვალა.

„საზღვრისპირა სოფლებში წყლის პრობლემის მოგვარებამ მოსახლეობა ადგილზე დაამაგრა. მიგრაცია შემცირდა, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე საზღვრის გამაგრების საკითხს ეხება. ჩემთან ამ სოფლებიდან არაერთი კმაყოფილი მოქალაქე შემოდის და ისინი გულწრფელად საუბრობენ, რომ ცალკეული კულტურების მოსავლიანობის მაჩვენებელი მკვეთრად გაუმჯობესდა და ადგილობრივებს შემოსავლის წყარო გაუჩინათ, რამაც ნაწილობრივ კვების პრობლემაც მოხსნა. ფიროსმანისა და სამთაწყაროს მაცხოვრებლები უკვე არ მალავენ და ღიად საუბრობენ, რომ ვისაც შრომა არ ეზარება, ამ სოფლებში ცხოვრება არ უნდა გაუჭირდეს,“ — აღნიშნავს ბაღაშვილი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სოფლად სასამელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდებოდა.



და მოსაზრებით აჭრელეული ფურცელი. დიად, ნუ გგონიათ, ვაჟბატონებო, რომ ჩვენ, ბენავს მჯღაბნავებს, საქმე გამოგვლეცია და იმიტომ ვჯღაბნით, ვნერთ, ვანყდებით ღობე-ყორეს. არა. ჩვენ იმას ვცდილობთ, ეგები სასარგებლო რამ გავაგონოთ ქვეყანას, შევმატოთ რამ მის გონებას და ზნეობასაო. ნუთუ ეს საქმე არ არის? ნუთუ ეს საქმე თქვენს საქმეს, რომელსაც მართო თქვენი თავი ახსოვს, ჩამოურჩება უკან? არა მგონია.

მაგრამ ნათქვამია ძველად: „ვინც რა უნდა თქვას, ნისქვილმა კი ფქვასო“.

დიად, ნისქვილმა ფქვას და მეფელეტონემ კიდევ სთქვას. მოდი და ნუ იტყვი თუნდ ამას, რომ ჩვენში მწერლობას უსაქმურობას ეძახიან, უსაქმურობა-მეტყრობას, არა მართო უბირნი სოფელნი, რომელთაც არაფერი უსწავლიათ, არამედ ისინიც კი, ვისაც სამი და ოთხი კლასი მაინც უნახავთ გიმნაზიისა, - გასულან სოფლად და ნითელ ნუნუას მოჰსწდომიან გვერდით. ხომ მე ჩემსას არ დავიშლი და მაინც ვიტყვი, თუმცა კი უხერხულს მდგომარეობაში ვარ: საწყალი მეფელეტონე, გაღმა მკითხველები არიან და გამოღმა თვითონ ბუტბუტებს! უხერხულს მდგომარეობაში თუ არა ვარ, მაშ რა ჯანდაბაა: იმასა ვნატრულობ, რომ ეგები ჩვენი მწერლობა გაძლიერდეს, ნაბეჭდმა სიტყვამ მოიპოვოს ბინა ხალხის გულსა და გონებაში, და ისინი კი, ვისთვისაც რამ ინერება, გაიძახიან:

(გაგრძელება მე-5 გვ)

21 მარტი ქართული ჟურნალისტიკის დღეა - ქართული პუბლიცისტიკა საქართველოში მე-19 საუკუნედან იღებს სათავეს. მისი ფუძემდებლები ილია ჭავჭავაძესთან ერთად იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო ნიკოლაძე... ისინი საკმაოდ პირუთვნელად აკრიტიკებდნენ მაშინდელ ყოფას. მათ მიერ დაწერილი პუბლიცისტური წერილები დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც

ორი საუკუნის წინათ.გთავაზობთ ვაჟა-ფშაველას მოსაზრებას ჟურნალისტიკაზე და საერთოდ, მწერლობაზე...

„ჩვენში მსუბუქად უცქერიან მწერლობას, თითქოს აბუჩად აგდებული ჰყავს; მწერლები კიდევ უსაქმო, „საქმეგამოლეული“ ხალხი ჰგონიან, მაგრამ, თუ ამ საქმეგამოლეულმა, ბენავსა „გაუხახუნა“ ვისმე ამის მოუბარს გაზეთში, გაგისხარია, ის ყალყზე შედგება და ასტეხს

ჰაი-ჰუის: როგორ თუ გაზეთში ჩამწერეთ, ჩემი ცუდი საქციელი გამოაქვეყნეთო! აკი არაფერია გაზეთიო? თითქოს ბრძანებდით, უსაქმურობაა მწერლობაო?..

თუ დაგნო და გიკბინა დაბეჭდილმა სიტყვამ ახად, უსაქმურობა კი არა, საქმიანობა ყოფილა. მამასადამე, ძალა ჰქონია, საყურადღებო რაღაც რამ ყოფილა ეს სხვადასხვა ამბებით, სხვადასხვა ფიქრით

ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროში ნაკვეთები დააზიანა

9-10 მარტს ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთები დააზიანა. ძირითადად დაიქარა საშემოდგომო კულტურების ნათესები. როგორც მოსახლეობა

ვარაუდობს, თუკი უახლოეს მომავალში ნალექი არ იქნება, დაახლოებით 30 პროცენტით ნაკლებ მოსავალს მიიღებენ. „ამ პერიოდში ყოველთვის არსებობდა ქარისგან მიყენებული ზარალის ალბათობა, თუმ-

ცა გასულ წლებში, ქარსაცავი ზოლების გამო, რისკები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. სამწუხაროდ, მოსახლეობის დაუდევრობითა და უპასუხისმგებლობით, ქარსაცავი ზოლი გაიჩეხა. -განაცხადა პრესას-

თან საუბრისას შპს „ლუკაგროს“ წარმომადგენელმა დავით ნასრაშვილმა.

ზარალის მოცულობა დგინდება და მიმდინარეობს ქმედითი ღონისძიებები პრობლემის აღმოფხვრის მიზნით.

დედოფლისწყარო
კიდევ ერთმა
უსსოელმა
პედაგოგმა
დატოვა
გვ.6

სოფლადგზის პრიორიტეტები
გამოვლენილია

გვ. 3

ყველაზე სანდო წყარო
დედოფლისწყაროში
ვიფინარა მოვლენების
უზსახე!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტანდარი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!
www.dedoplistskaro.ge

სოფლის განვითარების ცენტრები შეიქმნება

სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ სოფლის განვითარების ცენტრებში თანამშრომელთა შერჩევა დაიწყო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძემ და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კანდიდატებს, რომლებსაც

უკვე შეუსრულდათ 20 წელი, აქვთ ბაკალავრის ხარისხი, იციან უცხო ენა, ფლობენ კომპიუტერულ პროგრამებს. გარდა ამისა, სასურველია კანდიდატებმა იცოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობაც.

კანდიდატების შერჩევა მოხდება რამდენიმე ეტაპის მიხედვით: პირველ ეტაპზე, რომელსაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანამშრომლები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ჩატარებენ.

კონკურსის შედეგად შერჩეულ თანამშრომლებს, სოფლის სახლების გასწავლვად, სამუშაოზე მიიყვანა თორიული და პრაქტიკული სწავლება გაიარონ სხვადასხვა უწყებებში (სამოქალაქო, საჯარო რეესტრებში და სხვა ორგანიზაციებში).

სოფლის განვითარების ცენტრების მუშაობის შედეგად მოსახლეობა, შეძლებს სოფლიდან გასულიყვლა მთელი თვითმმართველობის ყველა და ცენტრალური ხელისუფლების მრავალი მოთხოვნადი მომსახურება შემდეგ სფეროებში: სოციალური დახმარებები, მინის რეგისტრაცია, პასპორტისა და პირადობის მონიშვნის აღება, სასოფლო-სამეურნეო კონსულტაცია, შეძლებს კომუნალური გადასახადების ელექტრონულად გადახდას და სხვა.

სოფლის განვითარების ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება უფასო ინტერნეტი, ადგილობრივი მოსახლეობა ისარგებლებს გადახდის აპარატით, უფასო კომიუნტირით და შეხვედრების ოთახით, სადაც მიიღებს

კვალიფიციური კონსულტაციას სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დახმარების პროგრამების, მიგრაციისა და სხვა საკითხებზე. ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროექტის განხორციელება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2010 წლის ივნისში დაევალა, ხოლო პროექტის უშუალო განხორციელება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2011 წლის დეკემბრიდან დაიწყო.

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინირებით, უკვე შექმნა მსგავსი ტიპის ცენტრები საქართველოს 5 სოფლებში: ქალაქში, ჩუმლაყში, ფოკაში, კოდასა და რუისში. ამჟამად მიმდინარეობს სოფლის განვითარების ცენტრების მოწყობა საქართველოს 9 სხვადასხვა სოფელსა და მუნიციპალურ ცენტრში, ესენია: ნიგოეთი, შორაპანი, ხევი, ნურკიანი, ნატახტარი, ამბროლაური, ონი, ჯვარი და დაბა მანგლისი.

სს „საქართველოს ბანკის“ მცირე და საშუალო ბიზნისის საბანკო მომსახურების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიას დედოფლისწყაროში შემდეგ თანამდებობებზე:



საკრედიტო ასისტენტი;
საკრედიტო ექსპერტი;
უფროსი საკრედიტო ექსპერტი;
საკრედიტო ჯგუფის უფროსი.
საპრაქტიკო ასისტენტი

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებლებთან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება;
- მომხმარებლებისათვის ბანკის მომსახურების სარგებლობის და საბანკო პროდუქტების პრეზენტაცია;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება და ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- პერიოდული უკუკავშირის მიღება პოტენციური მომხმარებლებისგან;
- სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების დარიგება პოტენციური მომხმარებლებისათვის.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
- სამუშაო გამოცდილება: სასურველია მინ. 3 თვიანი გამოცდილება, გაყიდვების და/ან მცირე ბიზნისის სფეროში.
- აუცილებელი ცოდნა და უნარები:
 - კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
 - ქართული მშობლიური, რუსული კარგად, ინგლისური სასურველია (მაგრამ არა აუცილებელი);
 - მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
 - კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარები — აზრის ნათლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი ნერით და ზეპირად;
 - ორგანიზებულობა, ენერგიულობა, დაგეგმვის, სამუშაო მიზნების სწორად განსაზღვრის და დროის დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება.

საპრაქტიკო შესაძლებლობა

ძირითადი მოვალეობები:

- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

სავალდებულო მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
- სამუშაო გამოცდილება: მინ. 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში.
- სავალდებულო ცოდნა, უნარები:
 - საკრედიტო პროდუქტების ცოდნა;
 - დაკრედიტების ოურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
 - ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
 - გაყიდვების ტექნიკა;
 - ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;

- საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
- გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
- სამუშაოს და დროის დაგეგმვის უნარი;
- სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
- მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
- პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მონესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

უფროსი საპრაქტიკო შესაძლებლობა:

- საკრედიტო ექსპერტების, პროდუქტებისა და საკრედიტო ასისტენტების საქმიანობის კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, კოორდინაცია, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- მომხმარებლის ბიზნის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
- სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
- პორტფელის მონიტორინგი;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

სავალდებულო მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
- სამუშაო გამოცდილება: მინ. 1.5 წლიანი მუშაობის გამოცდილება ბიზნის დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში; (სასურველია, მაგრამ არასავალდებულო მცირე ჯგუფის კოორდინირების გამოცდილება).
- სავალდებულო ცოდნა, უნარები:
 - ბიზნის დაკრედიტების პროდუქტების ცოდნა;
 - დაკრედიტების ოურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
 - ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
 - გაყიდვების ტექნიკა;
 - ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
 - საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
 - გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
 - მცირე ჯგუფის კოორდინირების უნარი: მიზნების განსაზღვრის, დელეგირების, კონტროლის, სწავლების და შეფასების უნარი;
 - სამუშაოს დაგეგმვის, დროში განაწილების და შესრულების უნარი;
 - სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
 - მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
 - ლიდერობა, პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
 - პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მონესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

ძირითადი მოვალეობები:

- საკრედიტო ჯგუფის მიერ გაცემული სესხების რაოდენობის და მოცულობის ზრდა, პორტფელის ზრდა და ხარისხის შენარჩუნება;
- დაქვემდებარებული ჯგუფის მართვა და კოორდინაცია: ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა, გეგმების შესრულების და მუშაობის ხარისხის კონტროლი, ახალი სტანდარტების მიწოდება, დანერგვა, შეფასება და შემდგომი განვითარების დაგეგმვა;
- საჭიროების შემთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის

- წარმოების დაგეგმვა და ჯგუფის ხელმძღვანელობა;
- მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
- ჯვარედინი გაყიდვები — კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
- საკრედიტო ექსპერტთან ერთად მომხმარებლის ბიზნის საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
- სესხების პერიოდული შერჩევითი მონიტორინგი;
- რეაგირება ცვლილებებზე კრედიტის მიმდინარეობის პერიოდში, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა და საკითხის განხილვა შესაბამის კომიტეტზე;
- პრობლემური სესხის მართვა;
- საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება: განაწილება, პრაქტიკის მართვა-კონტროლი, ასისტენტის შეფასება და დეპარტამენტის მენეჯმენტთან რეკომენდაციების წარდგენა.

სავალდებულო მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
- სამუშაო გამოცდილება:
 - მინ. 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება ბიზნის დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში, მათ შორის მინ. 6 თვიანი გამოცდილება მენეჯერულ პოზიციაზე;
 - ბიზნისის, გაყიდვების სფეროში მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის მინ. 2 წლიანი გამოცდილება.
- სავალდებულო ცოდნა, უნარები:
 - ბიზნის დაკრედიტების პროდუქტების ცოდნა;
 - დაკრედიტების ოურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
 - ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
 - გაყიდვების ტექნიკა;
 - ზოგადი მენეჯმენტის საწყისი;
 - ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
 - საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
 - გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
 - ჯგუფის ეფექტურად მართვის უნარი: მიზნების განსაზღვრის, დელეგირების, კონტროლის, მოტივაციის, სწავლების და შეფასების უნარი;
 - დამოუკიდებლად მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
 - სამუშაოს დაგეგმვის, დროში განაწილების, მიზნების განსაზღვრისა და მიღწევის უნარი;
 - სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
 - მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
 - ლიდერობა, პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
 - პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მონესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაზრუნონ სს „საქართველოს ბანკის“ სააპლიკაციო ფორმა (როგორც შესაძლებელია) შეგიძლიათ აირთოთ) მისამართზე:

- ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, საქართველოს ბანკის თელავის ფილიალი
 - ქ. გურჯაანი, ნონევილის 12, საქართველოს ბანკის გურჯაანის ფილიალი
 - ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ. 15, საქართველოს ბანკის სიღნაღის ფილიალი
 - ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, საქართველოს ბანკის ყვარლის ფილიალი
 - ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, საქართველოს ბანკის საგარეჯოს ფილიალი
 - ქ. ლაგოდეხი, კოსტავას ქ.15, საქართველოს ბანკის ლაგოდეხის ფილიალი
 - ქ.წნორი, აღმაშენებლის ქ.38, საქართველოს ბანკის წნორის ფილიალი
- ან ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regiojob@bge.ge (გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)
ბანკის მისამართი: www.bge.ge
ბანკის მისამართი: www.bge.ge
განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 31 მარტი, 2012 წელი.

სოფლებში პროგრესი გაიკვირდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის პრიორიტეტების გამოსავლენად ბოლო შეხვედრა სოფელ ქვემო ქედის, არხილოსკალოსა და ზემო ქედის მოსახლეობასთან გამართა და სოფელში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივებისგან პირადად მოისმინა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან აცნობებს, მიმდინარე წლისათვის სოფელ ქვემო ქედში მოსახლეობის მოთხოვნით შიდა წყალმომარაგების და წყალსაქაჩის სადგურის რეაბილიტაცია დაიგეგმა. წელს ამ პროგრამით სოფელ ქვემო ქედისათვის 46 718 ლარია გამოყოფილი.

არხილოსკალოში მოსახლეობამ საბავშვ ბაღისათვის შენობის შექმნა, მისი რემონტი და მინი

სპორტული მოედნის მოწყობა ისურვა. მათთვის გამოყოფილი 33 248 ლარით. ამჟამად, ამ სოფელში საბავშვო ბაღი სკოლის შენობაშია განთავსებული. როგორც სკოლის ადმინისტრაცია განმარტავს, ბალთან გაფორმებულ იჯარას ვადა მიმდინარე წლის ზაფხულში ეწერება. სწორედ ამიტომ, მუნიციპალიტეტი სოფლის პროგრამის თანხებით საბავშვო ბაღისთვის შენობის შექმნაზე იზრუნებს.

ზემო ქედში მოსახლეობასთან შეხვედრისას პრიორიტეტად სოფელში გამოტოვებულ ქუჩებზე წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, ამორტიზებული მილის რეაბილიტაცია, ალაზნის ქუჩაზე მისასვლელი გზის მოხრეშვა და სოფლის თავში არსებულ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მონესრიგება დასახელდა. აღნიშნული სამუშაოებისათვის 52 360 ლარი დაიხარჯება.

შეხვედრისას საკრებუ-

ლოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილმა სოფელ ზემო ქედის მოსახლეობას მადლობა გადაუხადა სოფელში არსებული კულტურის სახლის მოვლა - პატრონობისათვის და აუწყათ, რომ ამავე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხა, რომელიც ამ შენობის რეაბილიტაციას მოხმარდება.

მსგავსი შეხვედრები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა. შეხვედრები ითვალისწინებდა „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში თემებში არსებული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვას, ასევე თვითმმართველობის განხორციელებაში სოფლის მკვიდრთა ჩართულობის მხარდაჭერას.



ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანხა გაიზარდა



13 მარტს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგით მეხუთე სხდომა ჩატარდა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი უძღვევოდა.

სხდომაზე ცვლილება შევიდა „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №85 განკარგულებაში, რაც გულისხმობს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსახორციელებელი შესყიდვების გეგმაში სოფლის დახმარების პროგრამით განსახორციელებელი პრიორიტეტული სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 465 852 ლარის დამატებას. როგორც ლევან ბალაშვილმა დეპუტატებს განუმარტა, ეს თანხა სოფლებში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს მოხმარდება. ბალაშვილი მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს-

თვის საინტერესო პროექტების წელს უწოდებს.

„ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობების ზრდამ საშუალება მოგვცა, რომ თანხა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისკენ მაქსიმალურად მიგვემართა. თითქმის ყველა სოფელში წელს საკმაოდ კარგი პროექტები დაინყება, რაც სულ მალე თითოეულ სოფელში თვალმისაცემი გახდება,“ — განუცხადა „შირაქს“ ლევან ბალაშვილმა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ასევე განისაზღვრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები. ამას გარდა, ქალაქის ცენტრში ახლადაშენებული პოლიციის მიმდებარე მიწის ნაკვეთი მუნიციპალური საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებაში გადავა.

სხდომის დასასრულს, ლევან ბალაშვილმა დეპუტატებს აქტიურობისა და უფრო მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა.

დასუფთავების სამსახურმა სოფლების მომსახურება დაიწყო

2012 წლის მარტის თვიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებიდან: ზემო მაჩხაანი, მირზაანი, არბოშიკი, ოზაანი და გამარჯვება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა შესაბამისი გრაფიკის მიხედვით აქტიურად დაიწყო.

ნარჩენების გატანის გრაფიკი ზემოაღნიშნულ სოფლებში მოსახლეობის თავშეყრის ადგილებზე გამოქვეყნდა. რის მიხედვითაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, თუ რა დღეებში მოემსახურება სოფელს მათთვის მიმდებარე ავტომანქანა.


ამ ფაქტმა მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია, შემცირდა დასახლებულ პუნქტებში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დანაგვიანების შემთხვევები.

წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით, აღნიშ-

ნული მომსახურება ორშაბათს გაენევა სოფელ ზემო მაჩხაანს, სამშაბათს - მირზაანს, ოთხშაბათს - არბოშიკს, ხუთშაბათს - ოზაანს, ხოლო პარასკევს - გამარჯვებას.

შ.პ.ს „სერვისი - 2007“ მო-

სახლეობას მიმართავს თხოვნით, აღნიშნულ ღონისძიებაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, დაუკავშირდნენ შემდეგ საკონტაქტო ტელეფონზე: 599 18 19 68; 597 77 30 45



ქალაქის კეთილმოწყობა გრძელდება

გამომინდებლასთან ერთად განახლდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ცენტრალური სკვერების დეკორატიული მესერის სამშენებლო სამუშაოები, რომლის დასრულების

შემდეგ, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალური ქუჩა განახლებული იერ-სახით ერთიან არქიტექტურულ სტილში ჩაჯდება.

სარეაბილიტაციო სამუ-

შაოებს წნორში რეგისტრირებული შპს „ბაკა+“ ასრულებს. პროექტის შესრულების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 27 დეკემბრიდან - 2012 წლის 1 მაისამდე. სწორედ ამავე ორგანიზაციამ შეასულა პოლიციის შენობის წინ მდებარე მესერის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

მიმდინარე წელს კიდევ დაგეგმილია სკვერების განახლება რუსთაველის და 9 ძმის ქუჩებზე. ასევე, მოხდება ფიროსმანის ქუჩაზე არსებული ნიკალას ძეგლის მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტალინის ბაღის, კულტსახლის და მინი სპორტული მოედნის მიმდებარე სკვერების რეაბილიტაციის პროცესი.



21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღეა

ქართული ჟურნალისტიკის დღე საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1993 წელს ერთობლივად დააწესეს. გაზეთი „შირაჰი“ ამ დღის აღსანიშნავად შემოქმედებითი გუნდის შესახებ ინფორმაციას კიდევ ერთხელ შემოგთავაზებთ. მაინც რატომ აირჩია თითოეულმა ჩვენგანმა ეს პროფესია? ამ კითხვებზე ყველას თავისი პასუხი და განსხვავებული არგუმენტი აქვს.

ინგა შილაშვილი

უკვე თხუთმეტი წელია, რაც ჟურნალისტიკას ვემსახურები. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ რაიონს დავეუბრუნე და გაზეთი „შირაჰი“ დავინყე მუშაობა. სიმართლე გითხრათ, ჟურნალისტიკაზე არასოდეს მოცნებია, მაგრამ სკოლაში ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჰუმანიტარული საგნების განსაკუთრებული ნიჭი მქონდა. მე ასე არ ვფიქრობდი, რადგან თითქმის ყველა საგანს ერთნაირად ვსწავლობდი, თუმცა ჩანახატებისა და ლექსების წერა ჩემთვის უცხო ნამდვილად არ ყოფილა... ჩვენს ოჯახში მეორე პოეტის გამოჩენას, თანაც არცთუ ნიჭიერი ლექსების ფონზე, დედაჩემი სამართლიანი აღმფრთხილებით შეხვდა. აქ დამთავრდა ჩემი პოეტური კარიერაც... მერე ვწერდი, ოღონდ ჩემთვის, სულიერი განწყობილებისა და ემოციის ფურცელზე გადმოღვრის მიზნით, თუმცა ახლა ნამდვილად ვერ გეტყვით, ბოლოს როდის დავწერე ლექსი... არაერთხელ უკითხავთ ჩემთვის, განათლებით ფილოსოფოსმა რატომ გადაწყვიტე ჟურნალისტიკაში მოსვლა? პასუხი მარტივია — ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი ნერტილი ანალიზის უნარი და ლოგიკური

აზროვნება, რაც ჟურნალისტიკაშიც აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. მოვლენების სწორად აღქმა და შეფასება ჟურნალისტიკის ობიექტურობის და შემდგომში მისი სანდობის განმსაზღვრელია. თუკი გაზეთი „შირაჰი“ რამდენიმე ადამიანი მაინც ელოდება და ინტერესით კითხულობს ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფის მიერ მომზადებულ სტატიებს, თუკი რამდენიმე ადამიანი დროებით მაინც ეთიშება ყოველდღიურობას, მაშინ ჩავთვლი, რომ მიზანი მცირედით მაინც მიღწეულია. ჩემი, როგორც ჟურნალისტიკის ამოსავალი კრედიო კი ყოველთვის იყო და მუდამ იქნება მოუკერძოებლობა, ობიექტურობა და პროფესიონალიზმი. უნდა ვთქვათ, იმ პროფესიისა, რომელიც ბავშვობიდან არ ამირჩევია, მაგრამ დღეს ჩემი თავი სხვა სფეროში, ნამდვილად, ვერ წარმოვიდგენა. ვთვლი, რომ ეს პროფესია ჩემი მოწოდებაა.



ნაირა გორაშვილი რომ გითხრათ, ბავშვობიდან ვეცნებოდი ჟურნალისტიკაზე-მთქი, მართალი არ ვიქნები. ჩემს დროს ეს პროფესია მხოლოდ შეძლებული და გავლენიანი მშობლების წარჩინებული შვილებისთვის იყო ხელმისაწვდომი. სულ 10 აბიტურიენტს ლებულობდნენ, კონკურსი კი ძალიან მაღალი იყო. სოფლში გაზრდილი გლეხის შვილისთვის იქ ადგილი არ იყო. რაიონებში პროფესიონალი ჟურნალისტები არ მუშაობდნენ. აქ, ძირითადად, ფილოლოგები, ისტორიკოსები და „წერას ატანილი“ ხალხი საქმედობდა. „წერას ატანილი“ მეც ვიყავ, მაგრამ სკოლა და ბავშვის მეტყველი, კრიალა თვალები იყო ჩემი ოცნება. საუკეთესო, განათლებული ფილოლოგი მინდოდა ვყოფილიყავ. ამიტომაც დავამთავრე გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი წარჩინებით. მაგრამ, ცხოვრებამ ასე მოიტანა და 1971 წელს გაზეთი „ახალ შირაჰში“ დავინყე ჟურნალისტიკური მოღვაწეობა. ეს საქმე ჩემთვის მთლად უცხო არ გახლდათ. სკოლაში სწავლისას სულ სასკოლო და საკლასო კედლის გაზეთების რედაქტორი ვიყავ. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მარნეულის რაიონის სოფელ არაფლოს აზერბაიჯანულ სკოლაში პედაგოგად მუშაობისას, პარალელურად რაიონულ გაზეთშიც ვმუშაობდი შეთავსებით და გარკვეული პრაქტიკა მქონდა. ამიტომ გავბედე და, როცა სკოლაში ჩემი ადგილი არ მოიძებნა, რაიონული გაზეთის რედაქციას მივაკითხე. რედაქტორი გოდერძი ტოკოლიკივილი გახლდათ. გამოსაცემელი ერთი თვის ვადით მიმიღო და... მას მერე 40 წელი გავიდა, 21-ე წელია, რედაქტორი ვარ. უამრავი ტკბილი და მწარე მოგონებებითაა ეს წლები სავსე, რაღა არ გადავიტანეთ, რაიონის რამდენმა ხელმძღვანელმა აიარ-ჩამოიარა ი-



რარქის კიბე ჩვენს თვალწინ. ვერც კარების აჭედებმა, ვერც უშუქობამ და უფულობამ, ვერც რაიონის ხელმძღვანელთა კაპრიზებმა ვერ გატეხა „შირაჰის“ კოლექტივის რთობა და... დღესაც ერთგულად ვემსახურებით 75 წლის ჩვენს ჭალარა „შირაჰს“. როგორი ჟურნალისტი და ხელმძღვანელი ვარ, მკითხველმა განსაჯოს. ერთი კი ვიცი, მიღწინა თუ მიჭირდა, არასოდეს მილაგატია მონდობილი საქმისთვის. 1986 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება დავამთავრე, ფაკულტეტის დეკანმა, ცნობილმა თეორიტიკოსმა და მოქმედმა პროფესორმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ ჩემი სადიპლომო ნამუშევარი „ფრიაღზე“ შეაფასა, მითხრა: „ყოჩაღ, ქიზიყელო, შენ წერა-კითხვა ნამდვილად გკოდნიაო“. ეს სიტყვები ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა. ასე რომ, ჩემი ერთგული მკითხველო, ვერ არ ვაპირებ კალმის დადებას, დამელოდეთ ყოველ ნომერში.

ილია გარტყოფლიშვილი

კითხვაზე, რატომ აირჩიე პროფესია ჟურნალისტი - შეიძლება უცნაურად მოგჩვენოთ, მაგრამ, ყოველთვის ვპასუხობ, რომ არ ამირჩევია. უფრო სწორად, ბევრი არ მიფიქრია იმაზე, რა უნდა გამოვსულიყავი... ჯერ კიდევ 12-13 წლის ასაკში ვიცოდი, რომ ჟურნალისტიკა მინდოდა და ოდნავაც არ მიყვამანია. ყველა მუშებნობდა, გავლენიანი ადამიანების გარეშე ამ სფეროში დამოუკიდებლად ვერ გაიკვალავ გზასო. ჩემს სანათესაოში არავინ ყოფილა ჟურნალისტი, მაგრამ რატომღაც ამ პროფესიის ხიბლი ადრეული ასაკიდანვე გამიჩნდა. გამიმართლა და დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დამთავრებისთანავე, პირველივე წელს ჩავირიცხე თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ტელე-რადიო ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ვერ ვიტყვი, რომ სკოლაში ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ ჩემი ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი ლალი ინაშვილი ყოველთვის აღნიშნავდა, „საკონტროლო თემების წერისას, მარტყოფლიშვილის მომზადებულ თემებში ყველა იმ მითითებას ვხედავ, კლასს რა დავალებაც მიეცაო“. ანუ, თემა ყოველთვის ზუსტად ისე იყო აგებული, როგორც გვთხოვდა. სხვა საგნებისგან განსხვავებით, ამ საკითხში უფროსი ადამიანების, ან სპეციალისტების დახმარება არასოდეს დამჭირებია. ალბათ, ქალბატონი ლალი თავიდანვე ხედავდა ჩემში წერისადმი მიდრეკილებას. მე რომ ეს საქმე შემიძლია და ასე ძალიან მიყვარს, უნდა ვაღიარო, ლალი ინაშვილს ამაში დიდი წვლილი მიუძღვის, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას. სახლში ვიდუი-აპარატურა 12 წლიდან მქონდა და ამ ასაკში დამოუკიდებლად რამდენიმე დოკუმენტური ფილმი მოვაშადა და თავადვე გადავიღე. (ცხადია, საკუთარი ძალებით ეს არცთუ ისე ხარისხიანი გამოვიდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ენთუზიაზმი და საქმის სიყვარული მაშინაც დიდი იყო.

ცრად მიგვითითებდნენ, რომ ჟურნალისტიკა ნაწერი ზედმეტად არ უნდა შეაღამაზოს. ძალიან საინტერესოდ მახსენდება ის პერიოდი. უნივერსიტეტში ჩაბარებიდან 3 კვირაში პირველ არხზე ყველა ცნობილ ჟურნალისტს ვიცნობდი (მაშინ მხოლოდ „რუსთავი 2“ და პირველი არხი იყო). ისე ძლიერ მიყვარდა ეს სფერო რომ თბილისში ახლად ჩასული ბიჭი, რომელმაც გზებიც არ ვიცოდი წესიერად, მოკლე დროში ნამყვან ჟურნალისტებს ვხვდებოდი და გადაცემების მზადებას ვესწრებოდი. ეს კი რუსულად კერვალმიშვილის ქალიშვილის ნინო დარასელის დამსახურებაა, რომელიც მაშინ „მოამბის“ ნამყვანი იყო. მას მერე ტელევიზიის კარი შეიძლება ითქვას ატალახებული მქონდა.

რაც შეეხება პირველ სამსახურს მე-დიაში, თავდაპირველად ჟურნალ „თბილისელებში“ ვმუშაობდი. პირველივე კურსზე მე და ჩემმა ჯგუფელმა მეგობარმა გადაწყვიტეთ, სათანამშრომლოდ რომელიმე რედაქციაში მივსულიყავით, რომლის შენობაც ვაკეში, უნივერსიტეტთან ახლოს იქნებოდა. ასეთი აღმოჩნდა „თბილისელები“. რედაქტორს თანამშრომლობა მორიდებით ვთხოვეთ და დავძინეთ, პირველკურსელები ვართ, დიპლომი არ გვაქვსო. „თბილისელებს“ ახლაც ზაზა ახო-ბაძე რედაქტორობს. ძალიან კარგი ადამიანია და ის პერიოდი კარგად მახსენდება. ასე თქვა, თქვენ დიპლომი რად მინდა, მთავარია როგორ წერთო... დაგვაჯალეს რამდენიმე თემა და ზუსტად მახსოვს, ისე განვიცდიდი 1 თვე ვწერდი. პირველი ინტერვიუ 2001 წელს ამაჟამად ცნობილ ჟურნალისტთან, „რუსთავის 2“-ის დირექტორის მოადგილე, ნინო მუბლაძესა და მის მუდღე ალექო ფარულავასთან ჩავეწერე. მაშინ ნინო და ალექო დაოჯახებულები არ იყვნენ, 1 არხზე გადაცემა „ალიონის“ ნამყვანები გახლდნენ და მეგობრობდნენ. მახსოვს, ძალიან სახალისო სტატია გამოვიდა. საცდელად რედაქტორს რომ შევუტანე, შენიშვნების მოსასმენად იქვე ჩამოვჯექი. კითხვა რომ დაიწყო რამდენჯერმე ხმამაღლა გა-

დაიხარხარა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მასალა ძალიან მოეწონა, ეს კი იმის გარანტია იყო, რომ ჩემი სტატია აუცილებლად დაიბეჭდებოდა. იმავე ორშაბათს მთლიანი გვერდები დაეთმო ამ მასალას. ვერ აღვინერეთ, ეს რამხელა სიხარული იყო ჩემთვის. ეს პოპულარული ჟურნალია, მე კი ჩემი გვარის გაზეთში მოხვედრაზე ვფიქრობდი. იმდენად დაუჯერებლად მეჩვენებოდა, რომ სტატია ალბათ 20-ჯერ ზედიზედ, ბოლოში ჩემი გვარი-სახელი მგონი 100-ჯერ დამარცვლით გადავიკითხე, მერე ხშირად ვაქვეყნებდი ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუებს. „თბილისელები“ ჩემთვის უდიდესი სკოლა იყო. შემდეგ მე და ჩემმა მეგობარმა, რომელიც რედაქციაში ერთად მივედით, ერთ წელიწადში საკუთარი ჟურნალი დავაფუძნეთ. 48 გვერდიანი ფერად ჟურნალს - „კვირის ბოლო“, ჩვენვე ვრედაქტორობდით. რედაქციაში სულ 18 წლის ბავშვები ვიყავით და ბევრ სიძნელეს, მათ შორის დამპირებებსა და უამრავ ზენოლას დამოუკიდებლად ვუმკლავდებოდით. კოკა ყანდიაშვილს ისე გაუკვირდა 18 წლის რედაქტორები რომ ვიყავით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის 48 გვერდს ყოველკვირულად ვავსებდით, ჩვენს შესახებ ვრცელი სიუჟეტი მოაშადა იმდროისთვის ძალზე პოპულარულ გადაცემაში „რა ხდება!“. მოგვიანებით, ძალიან დაგვეხმარა და პირველ არხზე 10 ათასი ლარის სარეკლამო დრო გვაჩუქდა. რამაც ჩვენი ტორაჟი გასამშაგა. ჩვენი ჟურნალის რეკლამა ეთერში საუკეთესოდ როს გადიოდა. ყველაფრის მიუხედავად, რამდენიმე თვეში, ვარდების რევოლუციის დროს დავიქსაქეთ...

ლაივრტ ზუგაძელაშვილის სურვილით, 2003 წელს საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, რამდენიმე თვე დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებზე, ოპერატორ გია ყაჭაშვილთან ერთად, ადგილობრივ ტელე-გადაცემებს ვამზადებდი. ეკრანზე ყოველდღიური საინფორმაციო გამომშვება გადიოდა, რომლის ნამყვანი მე ვიყავი. მაშინ დედოფლისწყაროელებმა როგორც ჟურნალისტი ფა-

ქტობრივად პირველად გამიცნეს და 19 წლის ბიჭისთვის დიდი ბედნიერება იყო, როცა ქუჩაში მცნობდნენ. მერე კი ისევ თბილისში რადიო „უნივერსი“ გადავედი FM 103.9, რომელსაც ახლა რადიო „პალიტრა“ დაერქვა. იქ ყოველსაათიანი საინფორმაციო გადაცემის ნამყვანიც ვიყავი, საპარლამენტო კორესპონდენტიც და გამომშვები რედაქტორიც. შემდეგ თბილისის „პირველ რადიოში“ გადავედი FM 106.4-ზე. იქაც საინფორმაციოს გამომშვები რედაქტორი, პროდიუსერი და საპარლამენტო კორესპონდენტი ვიყავი. შემდეგ იყო დამოუკიდებელი გამოცემები „თავისუფალი გაზეთი“, გაზეთი „ვერსია“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და ასე შემდეგ. ასევე, კახეთის რეგიონული გაზეთი „პროგრესი“, სადაც დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებს ვამუქებდი, რამაც რამდენჯერმე სასამართლოდ მეც მიმიყვანა. ბევრგან მიმუშავია და ზოგი რამ არც კი მახსენდება. დედოფლისწყაროში დამოუკიდებელი, ყოველდღიური ინტერნეტ-გამოცემა „ქიზიყის“ შექმნაც მხოლოდ ინფორმაციის მაქსიმალურად და ოპერატიულად გავრცელების უზრუნველყოფით იყო ნაკარნახევი, თორემ ფინანსური დაინტერესება არ მქონია.

სულ რამდენიმე თვეა, რაც გაზეთ „შირაჰში“ ვარ. ყოველთვის მინდოდა, ეს ჭალარა გაზეთი ბევრად გაუმჯობესებული მენახა და მიხარია, რომ მომეცა საშუალება, მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანო. გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ რეორგანიზების შემდეგ ჩვენს ყოველდღიურ საზრუნავს „შირაჰის“ გაუმჯობესება, ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება და მკითხველის ინტერესების მაქსიმალურად დაკმაყოფილება იქცა. უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია და უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. იმაზე ბედნიერება არაფერია, როცა აკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან გიყვარს. ესაა საქმე, რითიც არასოდეს ვიღლები. ხშირად ღამის 4 საათამდე ვწერ, დილით ისევ ადრე ვიღვიძებ და კვლავაც ვმუშაობ. შემიძლია ეს საქმე შეუსვენებლად ვაკეთო. ჟურნალისტიკის გარეშე ჩემი ცხოვრება ნამდვილად ვერ წარმოვიდგენია, არ ვიცი, ასე რამდენ ხანს გავგრძელებ, მაგრამ ის კი ზუსტად ვიცი, რომ ამ საქმის გარეშე გაძლება ამაჟამად 1 დღეც მიჭირს. აქ თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ... ზოგჯერ ჩემს კონტაქტულ ნეროლებს ცუდად იგებდნენ, მაგრამ ყოველთვის ცუდილობდი ობიექტური და საკუთარ თავთან მართალი ვყოფილიყავი.



ლალი მხარეშილი

ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ვწერდი დღიურებს, რომელმაც შემდეგ ჩანახატების სახე უფრო მიიღო. ვწერდი ჩემს სულიერ განწყობაზე, ამა თუ იმ მოვლენისადმი თუ ცალკეული პიროვნებისადმი ჩემს დამოკიდებულებაზე. ვწერდი ჩემთვის და ეს პროცესი სიამოვნებას მანიჭებდა. ახლა, როცა ამ დღიურებს ვკითხულობ, ხანდახან მეცინება, თუმცა, ამას დადებითი მხარეც აქვს, რადგან ის გულწრფელი და ხალასი გრძობითაა დაწერილი, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს, თუ, ჯერ კიდევ ბავშვი, როგორ ვერ ვეგუებოდი უსამართლობას. სწორედ იმ პერიოდს ვამხატავ სურვილი, საზოგადოებაში ჩემი აზრის გამოხატვის უფლება მომეპოვებინა, ამისთვის ყველაზე კარგი საშუალება გაზეთი აღმოჩნდა.

უმალეს სასწავლებელში ჩემი სწავლის პერიოდი იმ დროს დაემთხვა, როდესაც ქვეყანაში უმუშევრობამ დაისადგურა, როცა თითქმის ყველა ოჯახს ბანკში ათი ათასობით ფული დარჩა და ფიზიკურად ფული ძნელი საშოვნელი გახდა, მაშინ სახელმწიფო სამსახურში ოჯახიდან მხოლოდ დედა მუშაობდა. მის ხელფასს, რომელიც 12 ლარს შეადგენდა, სამ ლარს უმატებდნენ და ბინის ქირას მიხდებდნენ, რათა მესწავლა და პროფესია მქონოდა. ამ გარემოებამ მე ათმაგი ძალა შემძინა იმისთვის, რომ თავდადებით მესწავლა, მეზუზავა და ჩემი შემოსავალი მქონოდა. მადლობა ღმერთს, შევარდნაძის დროინდელი სასაბჭოო ხელფასების პერიოდს თავი დავაღწიე, ამას ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტს ვუმადლო, რომელმაც იმ სიბნელიდან გამოგვიყვანა და დღეს, ოჯახის ყველა წევრი სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული, ამასთან მისაღები ხელფასებითაც ვაქვს.

მადლობელი ვარ უფლის, რომ ვემსახურები იმ სფეროს, სადაც მსურდა, რომ მემოღვაწე და ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს - გადმოვიცემ და გამოვხატავ თავისუფალ სიტყვას. უპირატესობა მაქვს, ჩემი სათქმელი ვთქვა და ჩემი უბრალო, გასაგები ენით ვესაუბრო ხალხს.

მიმაჩნია, რომ, მიუხედავად უამრავი შეხლა-შემოხლისა, ეს პროფესია ძალიან აზარტული და საინტერესოა, რასაც ვერაფრით ვმორიდები. ვფიქრობ, რომ გაზეთი „შირაქი“ რაიონის ისტორიას წერს, მე კი, ბედნიერი ვარ, რომ ამ საქმეში მცირედი წვლილი შემეძქვს. სწორად, გული მწყდება, რომ არსებობს შეხედულება - თითქოს, უწინააღრისები არ უყვართ, ეს კი იმიტომ, რომ სწორად არასასურველ დროს არასასურველი სტუმრები ვხდებით, თუმცა, პირობითაც არის, ჩვენი პროფესია რომ არ არსებობდეს, უამრავი ადამიანი საზოგადოების ფართო წრისთვის ვერ გახდებოდა ცნობილი, მოკლედ რომ ვთქვათ ჩვენ ვქმნით საზოგადოებაში „ამინდს“, ყოველშემთხვევაში ადამიანების ჩვენადმი დადებით თუ უარყოფით დამოკიდებულებასაც შეგუებულნი ვართ, ყველა საქმე ხომ „მსხვერპლს“ მოითხოვს, აკეთებ და ქმნი რაიმეს, საყვედურსაც იღებ და მადლობასაც, ვინც არაფერს ქმნის, მას არც არავინ ედავება, ასეა უწინააღრისტიკაშიც, ყოველთვის ყველასთვის მისაღებ პრობლემებს ვერ შექმნი, მადლობა ღმერთს, დღეს ჩვენი ხელმძღვანელობაში იმდენად შეგნებული ახალგაზრდობაა, რომელსაც კარგად ესმით ჩვენი მუშაობის ფასი. საერთოდ ცნობილია, უწინააღრისტობა ერთ-ერთ ყველაზე რისკის შემცველ და შრომატევად პროფესიად სახელდება, მით უმეტეს რეგიონში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისე შევესისხლებორც ამ საქმიანობას, რომ სხვაგვარად ვერც წარმომიდგენია, აქ თავს სრულფასოვნად ვგრძნობ.


„შირაქმა“ - თავისთავად, დიდი გამოცდილება მომცა, მაგრამ პარალელურად კახეთის რეგიონალურ გაზეთ „საქეტრში“ მუშაობამ, სადაც ძალიან კარგი კოლექტივი შევიძინე, აქ გავიცანი და ერთი წელი ტრენინგებს გვიკითხავდნენ პაატა ვეშაბიძე, სოზარ სუბარი, ვახტანგ კომახიძე, ლია იაკობაშვილი, ჩვენს კოლექტივში იყვნენ და ერთად ვმუშაობდით ხათუნა გოგაშვილი, ხათუნა გულიაშვილი,

ლი, ზვიად რუაძე, თეა ალავერდამვილი, ეკა გულიაშვილი, მიმიკო ლაზაშვილი და სხვები. ამ კოლექტივთან დღემდე კარგი და თბილი ურთიერთობა მაქვს. ეს გახლდათ უაღრესად კარგი და ლამაზი, ლალი და სიცოცხლით საცხე ცხოვრების და მოღვაწეობის პერიოდი, სწორედ აქედან გაიხსნა ჩემთვის კარი „კვირის პალიტრის“ რედაქციის ოფისში, სადაც სოფლის ცხოვრებისთვის დამახასიათებელ მასალებს მთხოვდნენ და აქვეყნებდნენ. აქვე გავიცანი და დავახლოვდი ხათუნა პაიჭაძესთან, ზვიად სენიაშვილთან, დავით ქაშიაშვილთან, თამაზ სანიკიძესთან. მიმაჩნია, რომ დღეს ჩემი მოღვაწეობა დედობის ტვირთიდან გამომდინარე, ძალიან პასიური ვარ, თუმცა ნამდვილად ვიცი, რომ მალე აქტიურ უწინააღრისტურ მოღვაწეობას დაფიქრდები.

იმისათვის, რომ დღეს მე ვარ ისეთი, როგორც ვარ, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ჩემს მშობლებს, ჩემს მშობლიურ სოფელ ოზანს, რომელიც მუდმივად ჩემი მუზაა, თითოეულ მის მაცხოვრებელს, მათ, ვისაც სჯერა და სწამს ჩემი, უდიდესი მადლობა ჩემი სკოლის პედაგოგებს, ვისაც პაატარა წვლილი მაინც მოუძღვით ჩემს აღზრდაში, დიდი მადლობა მიხდა გადავუხადო ჩემს უსათნოეს ელიზა მასწავლებელს, მათაც, ვინც მიბძევა, რომ გაზეთში მეცადა ბედი... და ბოლოს მადლობელი ვარ მეუღლის, რომელიც პატივს სცემს და კარგად ესმის ჩემი სიტყვის გამოხატვის თავისუფლება.



მიხეილ მღებრიშვილი



წესის დაცვით მოვედი: როცა პრესაზე კომუნისტური დიქტატი მოიხსნა და საგაზეთო ბუმი დაიწყო, გავიარე ღია კონკურსი და ერთი კვირის შემდეგ ერთ ცნობილ ქართულ გაზეთში (ახლაც გამოდის) რეპორტიორად დავინიშნე მუშაობა. ეს ყველა ქართველისათვის მძიმე წლები იყო, მაგრამ მე ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი.

მას მერე კარგა ხანი გავიდა, მაგრამ სათქმელი არ გამომლევია. არც შეკვეთილი სტატია დამინერია. ვცდილობ არ შევეხო თემას, რომელიც არ ვიცი. ვცდილობ ისე ვაკრიტიკო, განსჯისაკენ და ფიქრისაკენ განვანყო მკითხველი. როგორც მეუბნებიან, როცა საჭიროა, საკმაოდ მწარე კალამი მაქვს, მაგრამ ჩემი თანამემამულე კახელების წინააღმდეგ „მიჭირს“ გამოყენება, ეს ისე, ნახევრად ხუმრობით. სიმართლე კი ის არის, რომ მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში უპირველესად უწინააღრისტი ვიყავი და მხოლოდ ამის შემდეგ - რადიკალი. რამოდენიმე წელი საზღვარგარეთაც ვიმუშავე უწინააღრისტად და დავგრძედი, რომ იქაც, აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ პრესაშიც, ის პრინციპები დომინირებენ, რასაც შინაგანი ხმა მკარნახობს - არ არსებობს ტაბუირებული თემა, ვწერთ გასაგები ენით, არ ვამახინჯებთ სათაურში ქვემინტივებს... მთავრობას, მინისტრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს და საერთოდ ჩინოვნიკებს, როცა იმსახურებენ, ვაკრიტიკებთ, მაგრამ არ შევურაცხევოფთ. ამისათვის იქაც არსებობს ყვითელი პრესა...

მე არ მსურს ყვითელ პრესაში მუშაობა, მითუმეტეს - საქართველოში.

„აპი არაფერია გაზეთიო?“

(პირველი გვერდიდან)
ყოველი მწერალი ხელს არ აიღებს, რადგან დარწმუნებულია, რომ მწერლობა ძალაა, ერთი უმთავრესი იარაღთაგანია ერის წინსვლისა, მის გონების და ცხოვრების გაუკეთესებისა. თუ სხვანი ჰხვნიან, სთესენ, ერთის სიტყვით რომ ვსთქვათ, მეურნეობენ და ერს ამდიდრებენ, მწერლობა კიდევ იმას უჩვენებს, თუ ეს სიმდიდრე რაზე და როგორ უნდა იქმნას

მოხმარებული, რათა ცხოვრება უფრო სარგებლიანი და ნაყოფიერი შეიქმნეს. მაგრამ მწერლობაც არის და მწერლობაც. მწერლობა მაშინ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, როცა უკეთესად ემსახურება ქვეყანას. უკეთესი ქვეყნის სამსახური კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ყოველი წვლილი, ავი თუ კარგი თავის ქვეყნისა ესმოდეს, შეგნებული ჰქონდეს მისი საჭიროება და სხვებსაც შეაგნებინოს ესე-

ვე, — ყველა ავადობას, ყველა წყლულს ნამალი დასდვას და, მაშასადამე, კარგი მწერალიც ის არის, ვისაც კარგად შეუგნია ეს საჭიროება და უკეთესად ემსახურება ამ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეს.

სიმართლე მწერლობაში ორნაირად ითქმის, ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს: ერთი პოეტური-ბელეტრისტული და მეორე პუბლიცისტური. საგანი იმათი ერთი და იგივეა - ცხოვრება, მისი მოვლენანი, ძველი თუ ახალი მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი ვსთქვათ, ერთსა და იმავე ქვემარტივებს ამბობენ, ერთსა და იგივე გზას ადგანან. მაგრამ ერთის თქმა ძლიერ ღონიერია, ხოლო მეორე, თუმცა სიმართლეა, მაგრამ ვერ ალღევებს კაცის გულს და გრძობას პირველივით. ეს ასეა იმიტომ, რომ პოეტი აზრს ტანსაცმელს ურჩევს, აკობტავებს, ალამაზებს

პ რ მ ს ი ს ს ა თ ა ვ ე მ ბ თ ა ნ

„ივერია“, ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა, გამოდიოდა თბილისში 1877 წლის 3 მარტიდან ყოველკვირულ გაზეთად, 1879-1885 წლებში - უწინააღრისის სახით, 1885 წლიდან - ყოველდღიურ გაზეთად. დამაარსებელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე, თანარედაქტორი სერგეი მესხი (1881), „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანებისას, ივანე მაჩაბელი (1882-1884), ალექსანდრე სარაჯიშვილი (1901 წლის 4 დეკემბრიდან); გრიგოლ ყიფშიძე (1903-1905), შემდეგ გაზეთის დახურვამდე (1906 წლის 27 აგვისტო) ფილიპე გოგიანიშვილი. „ივერია“ იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო, მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითმეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. „ივერია“ თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა მუშათა მოძრაობის საკითხებს საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს და სხვა. ილია

ჭავჭავაძემ დაწერა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. „ივერიაში“ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრულაშვილი, და სხვა, ნიჭიერი კორესპონდენტები და უწინააღრისტი ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე ნანუქიძე, გ. ყიფშიძე, ალექსანდრე ნანუქიძე, არტემ ახნაზაროვი, დ. მიქელაძე, გიორგი ლასხიშვილი და სხვა. გაზეთი მიდიდა ინფორმაციას აძლევდა მკითხველს თანამედროვე საზღვარგარეთის ლიტერატურაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

„დროება“ - ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა. დაარსდა 1866 წლის 4 მარტს თბილისში. 1866-1874 წლებში - კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან - ყოველდღიურად. „დროებაში“ განაგრძო „საქართველოს მოამბის“ საუკეთესო ტრადიციები. გაზეთის რედაქცია იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მტკბად, ეროვნული კულტურის ცენტრად, უდიდესი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებასა და ქართველი ხალხის ინტელექტუალურ აღმავლობაში. იგი თანაბარი სიღრმით აშუქებდა ისტორიის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, სახალხო განათლების, ხელოვნების, ლიტერატურათმცოდნეობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და სხვა პრობლემებს. „დროებაში“ დიდად შეუწყო ხელი ქართული უწინააღრისტიკის, მწერლობისა და ლიტერატურის კორექციის განვითარებას, კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას ქართულ მწერლობაში, მოზარდი თაობის აღზრდას, საბავშვო მწერლობისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებას.

მწერლები და საზოგადო მოღვაწეები - ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. მელიქიშვილი, პ. უმიკაშვილი, ი. მაჩაბელი, დ. მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე, ა. ყაზბეგი, ა. ფურცელაძე და სხვანი. რედაქტორები: გ. წერეთელი (1866-1869), ს. მესხი (1869 წლის 17 აპრილიდან 1873 წლის ივლისამდე, 1874 წლის ოქტომბრიდან 1883 წლამდე), კ. ლორთქიფანიძე (1873 წლის ივლისიდან 1874 წლის ოქტომბრამდე), ი. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880-1881), ი. მაჩაბელი (1883 წლიდან). განმომცემლები - ს. მელიქიშვილი (1866-1882), გ. ქართველიშვილი (1883 წლიდან). აშკარა რადიკალური მიმართულებისა და საცენზურო წესდების დარღვევის გამო, ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით „დროება“ დაიხურა 1885 წლის 16 სექტემბერს.



დედოფლისწყარო ვადაზე ადრე კიდევ ერთმა უცხოელმა პედაგოგმა დატოვა

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში დედოფლისწყაროს საჯარო სკოლები ვადაზე ადრე უკვე მეორე უცხოელმა პედაგოგმა დატოვა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო პროექტ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში განაწილებულმა პედაგოგმა 28 წლის ტომასმა დედოფლისწყარო სამ თვეში დატოვა.

ინფორმაციას ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის დირექტორი ნანა ჭილიტაშვილიც ადასტურებს. დირექტორი ტომასის ნასვლის მიზეზად ადგილობრივ ჰავასთან შეუთავსებლობას ასახელებს და ირწმუნება, რომ ტომასს დედოფლისწყაროს ჰავასთან შეგუება გაუჭირდა, სკოლის

ვადაზე ადრე დატოვების გადაწყვეტილება ცამეტო მთელი მისი თქმით, მოხალისე პედაგოგ სკოლის კოლექტივისა და მოსწავლეების მიმართ უკმაყოფილო დამოკიდებულება არ ჰქონია.

„ნასვლის მიზეზად დააკონკრეტა, რომ ჰავასთან შეგუება გაუჭირდა, არაერთხელ აღნიშნა, ასეთ ცივ პირობებს ვერაფრით შეეგუა. ბოლო დროს ყინვების გამო ფეხის ტრავმა მიიღო და ამის შემდეგ უკვე გადაწყვიტა, რომ ჩვენი სკოლა დაეტოვებინა. ის ჩვენთან უკვე აღარ მუშაობს. შესაძლოა, სამუშაოდ თბილისში გადავიდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მეორე საჯარო სკოლის დირექციასთან, ან მოსწავლეებთან ტომასს უკმაყოფილება არ ჰქონია. დღემდე აქტიურად გვეკონტაქტება და თბილად მოგვიკითხავს ხოლმე. თქვენ

ნარმოიდგინეთ, იმდენად გვიყვარდა, რომ ბოლო სამუშაოდ დღეს, საგანგებო გაცილებაც კი მოვუწყეო“, - აცხადებს ნანა ჭილიტაშვილი.

დედოფლისწყაროში უცხოელი პედაგოგის ვადაზე ადრე დატოვების ეს პირველი შემთხვევა არ არის. ამასწინათ, სოფელ ხორნაბუჯის რუსულ-ქართული სკოლიდან 21 წლის მერი სმიტიც სულ რაღაც 1 თვეში წავიდა.

„მერი სმიტი ჯერ დედოფლისწყაროელ სამართალდაცველებს ამცადინებდა. ჩვენს სკოლაში შემოსვლა თავდაპირველად ამ მიზეზის გამო დაუგვიანდა. სხვა სკოლებში უცხოელი პედაგოგები მაშინვე ჩაერთვნენ, თუმცა სმიტი ჩვენთან შემოსვლას ჯერ ვერ ახერხებდა. რაც ჩვენ გვევალებოდა, ყველაფერი მოვავარეთ, არანაირი დაბრკოლება არ შეგვიქმნია. მასპინძელი ოჯახის

შერჩევა გვევალებოდა და საუკეთესო პირობები დავახვედრეთ. თუმცა, საბოლოო ჯამში აღმოჩნდა, რომ ის გურჯაანის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში გადავიდა. ჩემთვის უცნობია, რატომ დატოვა დედოფლისწყარო, ან რა გახდა მისი გურჯაანში გადასვლის კონკრეტული მიზეზი. ამის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცი. ისე კი, არა მგონია, რომ მომდევნო ნაკადის საქართველოში ჩამოყვანამდე ასე დაგრჩეთ. როგორც ვიცი, სხვა უცხოელ პედაგოგს ჩვენს სკოლაში ამ თვეებში გამოგზავნიან,“ - აცხადებს რუსულ-ქართული სკოლის დირექტორი ლალი გორჩიშვილი. მისი თქმით, ახალი პედაგოგი მათთან სულ მალე უნდა განაწილებულიყო, თუმცა, უკვე მერამდენე თვეა, უშედეგოდ ელიან.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში აცხადებდნენ, რომ მერი სმიტი სხვა რაიონში თავად განათლების სამინისტრომ გადაიყვანა და კონკრეტული მიზეზები



მათთვის უცნობია. ამას გარდა, პირობებით უკმაყოფილებას აფიქსირებდა სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლაში მყოფი მოხალისე პედაგოგი ოლგა ქართიცი. ამ პროექტის ფარგლებში დედოფლისწყაროს რაიონში სულ 4 უცხოელი პედაგოგი შემოვიდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ხანძარმა 400-მდე ცხვარი გაანადგურა

გასულ კვირას ხანძრის სამი ფაქტი დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. ე.წ. „ოლქს“ საძოვრებზე 4 მარტს, სალამოს მინდორში გაჩენილი ხანძრის შედეგად 400 სულამდე ცხვარი დაინვა. მოულოდნელად გაჩენილი ცეცხლი თავდაპირველად საძოვრებზე გავრცელდა, რის შედეგადაც 60 ჰექტარი დაინვა. მიუხედავად სამამუშაო სამსახურის ცვდებისა, ცეცხლი მოგვიანებით ცხვრის ფარსაც მოედო და ცხვარი განადგურდა.

„დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ-ერთი მეცხოველეობის ფერმის მიმდებარე საძოვარს გაუჩნდა ხანძარი. ხანძრის შედეგად, სამსუხაროდ, დამწვარია 400 სულამდე ცხვარი“, - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა.

ადგილზე რამდენიმე სახანძრო მანქანა მუშაობდა. მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციაც. მისი გამოწვევი მიზეზი, ჯერჯერობით, უცნობია. შემთხვევის ადგილზე დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბალაშვილი და გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილიც იმყოფებოდნენ.

„ქარი ამოვარდა და ცეცხლი უფრო გაძლიერდა. მწყემსმა საძოვრიდან ცხვრის გარეკვა ვერ მოახერხა და საქონელი ცეცხლში დაინვა“, - განაცხადა ერთ-ერთმა დაზარალებულმა ახმედ ახმალოვმა. ამ დროისთვის დაუდგენელია ასევე, მეცხვარეებისთვის მიყენებული ზარალის ოდენობაც.

5 მარტს, შუადღისას, ხანძრის მორიგი შემთხვევა დაფიქსირდა სოფელ სამთაწყაროშიც. ცეცხლი ხმელ ბალახს გაუჩნდა. როგორც დედოფლისწყაროს სახანძრო - სამაშველო სამსახურის უფროსმა ლევან გოზალიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ცეცხლის ვენახებზე გავრცელების საფრთხე არსებობდა, თუმცა შემთხვევის ადგილზე სამაშველო ბრიგადის დროულმა ჩასვლამ ვენახები განადგურებისგან იხსნა.

„ორგვლივ ვენახები იყო, მაგრამ დანვას გადავარჩინეთ. ხანძრის დროს ძლიერი ქარი იყო. საგარაუდოდ, 15 ჰექტარი დაინვა,“ - აცხადებს გოზალიშვილი. ვენახების დანვის ფაქტს უარყოფს სამთაწყაროს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული პაატა ნადირაშვილიც. შეგასწავნებთ, 200 - მდე ჰა საძოვარი დაინვა ტარიბანა - ქესამანის ტერიტორიაზეც.

ელჩები - უნივერსიტეტიდან

რამდენიმე დღის წინ ქალაქ დედოფლისწყაროს და სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ და მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასის მოსწავლეებისთვის უნივერსიტეტის პრეზენტაცია მოაწყვეს. მოგესვენებათ, სულ ორ-სამ თვეში უმაღლესში მისაღები გამოცდები ახლოვდება, თუმცა სანამ მოსწავლეები გამოცდების ციებ-ცხელების ქარცეცხლში ჩაებმებინ, უპრიანი და მისასალმებელია, თუ მათ იმ სასწავლებლის შესახებ დანვრისებრი ინფორმაცია ექნებათ ხელთ, სადაც ისინი სწავლას გააგრძელებენ.

როგორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, პოლიკარპე კაკაბაძე და სხვები. ამდენად, კარგი ინიციატივაა, რომ თსუ-ს რექტორმა ალექსანდრე კვიციანიშვილმა ერთგვარი დესპანტი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ყოველთვის იყო და დარჩება ცოდნის მიღების უმაღლესი სტანდარტების სასწავლებლად. აქ, ამ ცოდნის ტაძარში, როგორც მას დღემდე უწოდებენ, ისეთი კორიფეები ასწავლიდნენ და ქმნიდნენ სამეცნიერო ის-

ს უნივერსიტეტის დაარსება, სასწავლებელში განხორციელებული რეფორმები და ამჟამინდელი სწავლების შესახებ მოუყვანენ.

უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს დავით აღმაშენებლის დაბადების დღეს ივანე ჯავახიშვილმა დააარსა. თავდაპირველად იყო მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგი. მისი პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი გახლდათ, შემდეგ ეს დარგი გაფართოვდა და სხვადასხვა მეცნიერებად დაიყო. 1989 წელს უნივერსიტეტს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელი. ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. თითოეული სტუდენტი შესულია ელექტრონულ ბაზაში, შეუძლია შევიდეს ბაზაში და თვითონ მიიღოს სასურველი ინფორმაცია.

ლალი მხრინიშვილი

მუზეუმების დირექტორებმა საუკეთესო შედეგი აჩვენეს

კახეთის რეგიონში არსებული მუზეუმების დირექტორებს იუსტიციის სამინისტროში მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ 13 მარტს ტრენინგის წარმატებით გადართვის სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

სამდღიან ტრენინგში დედოფლისწყაროდან სამი მუზეუმის ხელმძღვანელი მონაწილეობდა. კურსი გაიარეს მონათმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლია ბაიდოშვილმა, ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მმართველმა ნელი გობეჯიშვილმა და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდების მცველმა ქეთევან მჭედლიშვილმა.

როგორც ორგანიზატორებმა გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, ტრენინგში მონაწილე 40-მდე პრეტენდენტიდან გამსვლელი ქულების მოგროვება მხოლოდ 10-მა შეძლო, სერთიფიკატებიც მხოლოდ ათ მათგანს გადაეცა. ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო ფიროსმანის მუზეუმის ხელმძღვანელმა ნელი გობეჯიშვილმაც.

„ტრენინგებზე დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის

ცენტრიდან გაგვზავნეს, სწავლება სამი დღის მანძილზე მიმდინარეობდა, სხვა საკითხებთან ერთად მუზეუმის მართვის მენეჯმენტი შეგვასწავლეს, რის შემდეგაც ტესტირება კომპიუტერით ჩავატარეთ. ძალზე ნაყოფიერი ტრენინგი იყო, სამომავლოდ უკეთესი მუშაობისთვის ბევრი რამ შევიძინეთ. სამინისტროს მიერ გამართულ ცერემონიაზე მხოლოდ ათი მათგანი დაჯილდოვდა და მათ შორის პირველ რიგში დედოფლისწყაროს წარმომადგენლებს გადამოგვცეს. უნდა აღინიშნოს, რომ მე და ქეთევან მჭედლიშვილმა საუკეთესო შედეგი ვაჩვენეთ, ჩვენს წინაშე დასმული 50 კითხვიდან 48

ქულა დააგროვა მჭედლიშვილმა, მე კი - 47. სერთიფიკატთან ერთად საჩუქრად საათებიც გადამოგვცეს,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლია ბაიდოშვილმა.

„შირაქს“ ხელთ არსებული ინფორმაციით, გობეჯიშვილი საგამოცდო დროში ვერ ჩაეჭია, რის გამოც დაწესებული ბარიერი ვერ



გადალახა. კულუარული ინფორმაციით, ფიროსმანის მუზეუმის მმართველს საგამოყენო დარბაზის გასაღების დაკარგვის თაობა-

ზე ინფორმაცია ტელეფონით სწორედ ტესტირების დროს მიანოდეს, რამაც მისი შეფერხება გამოიწვია.

ტრენინგის მიზანი მომსახურების ერთიანი სტანდარტის დანერგვა და მათთვის ეფექტური კომუნიკაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაა, რათა მუზეუმებში მისულმა მოქალაქეებმა თანამშრომელთა მხრიდან ხარისხიანი და დროული მომსახურება მიიღონ.

ინტერაქტიული სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება ისეთ საკითხებს დაეთმო, როგორიცაა ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება, თანამშრომელთა მომსახურების ხარისხის მართვა და მონიტორინგი. ტრენინგის ფარგლებში რეგიონული სამსახურების ოფისის თანამშრომლები როლურ თამაშებსა და დისკუსიებში მონაწილეობდნენ, პრაქტიკულ საგარეოობებზე მუშაობდნენ და გამოიმუშავებდნენ ეფექტური მომსახურებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

აღნიშნული ტრენინგები კახეთის ტურისტული განვითარების პროექტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ტრენინგს ეტაპობრივად ჯერ ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ცვლა ობიექტის — სასტუმროების, რესტორნების მენეჯერები, ხოლო შემდგომ ყველა თანამშრომელი გაივლის.

ეფექტური მომსახურების ტრენინგების განხორციელება სხვადასხვა უწყებებისათვის იუსტიციის სასწავლო ცენტრმა მას შემდეგ დაიწყო, რაც უწყებამ წარმატებით განახორციელა იუსტიციის სახლის თანამშრომელთა ტრენინგი. დღეისათვის ეფექტური მომსახურების ტრენინგი სასწავლო ცენტრში უკვე გაიარეს შემოსავლების სამსახურისა, მერიის და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების ცენტრის თანამშრომლებმა.

ილია მარტყოფლიშვილი

დიდი მარხვა: მოგზაურობა აღდგომისაკენ

პროტოპრესვიტერი
ალექსანდრე შვიმინი

კაცი რომ გზას დაადგება, უნდა იცოდეს თავისი მოგზაურობის მიზანი. ასეა მარხვაც. მარხვა ხომ, ძირითადად, სულიერი მოგზაურობაა, მისი მიზანი კი აღდგომაა, პასექი - „დღესასწაული დღესასწაულთა“. მარხვა პასექის აღსრულების, ქვეყნის გამოცხადების სამზადისაა. ამიტომ დასაწყისშივე უნდა შევეცადოთ, ჩვენთვის მარხვისა და პასექის კავშირს, რადგანაც ეს კავშირი რაღაცა მეტისმეტად არსებითს გვიცხადებს, რაღაც გადამწყვეტსა და მნიშვნელოვანს ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოებისა და ცხოვრებისათვის.

განა საჭიროა იმის განმარტება, რომ აღდგომა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთ-ერთი დღესასწაული, უფრო მეტია, ვიდრე წარსული მოვლენის ყოველწლიური აღნიშვნა და პატივისცემა?

ყველა, ვისაც ერთხელ მაინც განუცვლია აღდგომის დამის უზუნესი სიხარული, მზიან დღეზე უფრო უნათლესი, დამეთანხმება. მაგრამ რისი სიხარულია ეს? რატომ ვგალობთ სააღდგომო ცისკარზე, რომ „ან ყოვლითურად აღვივლო ნათლითა ზედა, ქვეყანა და ქვეყნებითი“ რა აზრით ვდღესასწაულობთ „სიკუდილითა სიკუდილისა მოკუდინებულთა, მემკურნალთა ჯოჯოხეთისასა, დასაბამსა და მიზნისა ახლისა ცხოვრებისასა“?

ყველა ამ შეკითხვაზე ერთი პასუხია: ახალი ცხოვრება, რომელიც თითქმის ორი ათასი წლის წინათ გამობრწყინდა საფლავიდან, და მიეცა ყველას, ვინც ქრისტე იწამა. იგი მოგვცა ჩვენი ნათლისღების დღეს, როცა, პავლე მოციქულის სიტყვისაგან, ჩვენ „თანადგეფიანობით ქრისტესა ნათლისღებითა სიკუდილისა მისისათა, რათა, ვითარცა ქრისტე აღდგა მკუდრეთით, ეგრეთვე ჩვენ განახლებითა ცხოვრებისათა ვიდოდეთ“. მაშინადაც, პასექის დღესასწაულზე ჩვენ ვდღესასწაულობთ ქრისტეს აღდგომას, როგორც ოდესღაც მომხდარს, რაც დღესაც ხდება

ჩვენს პირად ცხოვრებაში. რადგანაც ყოველმა ჩვენგანმა მიიღო ახალი ცხოვრების ეს ნიჭი, შეიძინა მისი მიღებისა და მისით ცხოვრების უნარი. ეს ნიჭი რადიკალურად ცვლის ჩვენს მიმართებას ყოველივესადმი ამქვეყნიან, და თვით სიკვდილთანაც კი. ის გვძლევს საშუალებას, სიხარულით ვამტკიცოთ: „სიკვდილი არ არსებობს!“ რა თქმა უნდა, ამ ცხოვრებაში ჩვენ ჯერ კიდევ პირისპირ ვხვდებით სიკვდილს, ერთ დღეს იგი ჩვენც მოგვაკითხავს. მაგრამ ჩვენ გვნამს, რომ თავისი სიკვდილით ქრისტემ სიკვდილის თვით არსი შეცვალა, აქცია ის გადასვლად, პასექის დღესასწაულად, პასექად, ანუ ზეციურ სასუფეველში გადასვლად, და ამგვარად, ყველაზე დიდი ტრაგედია საბოლოო გამარჯვებად გარდაქმნა „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნელმა“ - საკუთარი სიკვდილით ჩვენი სიკვდილის გამანადგურებელმა. მან თავისი აღდგომის მონაწილეობა გვგზავნა. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ სააღდგომო საცისკრო მსახურების დასასრულს, რომ „აღდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს; აღდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანი არს საფლავსა შინა“ (იოანე ოქროპირი).

ასეთია ეკლესიის რწმენა, რომელიც წმინდანთა ურიცხვი სიმრავლის მიერა დადასტურებული და დამტკიცებული. და მაინც, განა ყოველდღე საკუთარი გამოცდილება არ გვიდასტურებს, რომ ჩვენ სინამდვილეში ძალიან იშვიათად გვაქვს ამგვარი რწმენა, რომ ჩვენ ნამდვილად ვკარავთ მას და ვლაღობთ იმ „ახალ ცხოვრებას“, რომელიც მოგვეჩვენა, და რომ არსებითად ჩვენ ისე ვცხოვრობთ, თითქოს ქრისტე მკვდრეთით არ აღმდგარა და თითქოს ამ ერთადერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ჩვენთვის არავითარი აზრი არ ჰქონდეს? ყოველივე ამის მიზეზი ჩვენი სისუსტეა, რადგანაც შეუძლებელია ჩვენითვის მუდამ „სარწმუნოებით, სასოებითა და სიყვარულით“ ცხოვრება იმ დო-

ნეზე, რომელზეც ქრისტემ აღვიყვანა, როცა გვითხრა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა“ (მთ. 6, 33). ჩვენ უბრალოდ გვაგინებდა ეს, იმდენად ჩაძირულნი ვართ ყოველდღიურ საზრუნავში. და ამ დავიწყების გამო ვსუსტდებით. ამ დავიწყების, ცოცხალი განუწყვეტელი დაცემის გამო ჩვენი ცხოვრება კვლავ „ძველია“, - წერილმანი, ბნელი, ყოველგვარ აზრს მოკლებული: უაზრო აღსასრულისკენ მიმავალი უაზრო მოგზაურობა. ჩვენ სიკვდილიც კი გვაგინებდა, ის კი მოულოდნელად, ჩვენი სასიამოვნო ცხოვრების ღამის შუაგულში გვპოულობს: სამინელი, გარდაუვალი, უაზრო. ზოგჯერ კი შევიგნებთ ხოლმე ჩვენს სხვადასხვა „ცოდვას“ და ვინანიებთ კიდევ, მაგრამ მაინც არ ვეძლევი იმ ახალ ცხოვრებას, რომელიც ქრისტემ განგვიცხადა და გვიწყალობა. ისე ვცხოვრობთ, თითქოს ქრისტე არც არასდროს მოსულა ქვეყნად. ეს ერთადერთი ნამდვილი ცოდვაა, უღრმესი ტრაგედია და სევდა ჩვენი ნომინალური ქრისტიანობისა.

თუ ჩვენ ამას მივხვდებით და ვაღიარებთ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ იმის გაგებას, თუ რა არის აღდგომა და რატომბა აუცილებელი მის წინ დიდი მარხვა. მხოლოდ მაშინ შეძლებთ იმის გაგებას, რომ ეკლესიის ყველა ლიტურგიკული ტრადიცია, მთელი მისი საღვთისმსახურო ციკლი, უპირველეს ყოვლისა, იმისთვის არსებობს, რომ კვლავ დაგვეზაროს იმ ახალი ცხოვრების დანახვას და გვემოსილებდეს, ცხოვრებისა, რომელსაც ასე ადვილად ვმორიდებით და ვლაღობთ, რათა მონანიებით კვლავ დაფუძრუნდეთ მას. როგორ შეიძლება გვიყვარდეს და გვსურდეს იმის მიღება, რასაც არ ვიცნობთ? როგორ შეიძლება ამქვეყნიან ყველაზე მაღლა დავაყენოთ ის, რასაც არ ვიცნობთ, სიხარული, რომელიც არ გვიგრძნობს? ერთი სიტყვით, როგორ შეგვიძლია ვეძიოთ სასუფეველი, რომლის შესახებ არავითარი წარმოდგენა არ გვექონია? დასაბამიდან და დღემდე საეკლესიო ღვთისმსახურება ერთადერთი შესასვლელია ამ სასუფეველში, ახალ ცხოვრებასთან ზიარება. ეკლესია თავისი ლიტურგიკული ცხოვრების საშუალებით გვიცხადებს იმას, „რომელიც თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელიც განუმზადა ღმერთმან მოყუარეთათვისთა“ (1 კორ. 2,9). პასექი ამ ლიტურგიკული ცხოვრების ცენტრია, მისი გული და მწვერვალია, მზეა, რომლის სხივები ყველგან აღწევს. ყოველ წელიწადს იხსნება კარი ქრისტეს სასუფეველის ბრწყინვალეებისკენ, გვეძლევა წინასწარი შეგრძნება ჩვენითვის ალთქმული მარადიული სიხარულის, მთელი ქვეყნიერების აღმსვები დიდებისა და გამარჯვებისა: „სიკვდილი აღარ არსებობს“. მთელი საეკლესიო ღვთისმსახურება აგებულია აღდგომის დღესასწაულის ირგვლივ; ამიტომაც საწელიწადო სალიტურგიკო წრე, დღესასწაულთა და მარხვით მიმდევრობა აღდგომისაკენ მიმართულ მოგზაურობადა წარმოგვიდგება. ეს დასასრულია, რომელიც ამავე დროს, დასაწყისიცაა: ყოველდღე ძველის დასასრული და ახალი ცხოვრების დასაწყისი, ქრისტეს მიერ განცხადებულ სასუფეველში ამა სოფლიდან განუწყვეტელი გადასვლა.

მაგრამ ძველი ცოდვიანი და წერილმანი ცხოვრების დამარცხება და შეცვლა არც ისე ადვილია. სახარება ადამიანისაგან ითხოვს ძალისხმევას, რომლისთვისაც იგი თავისი ჩვეულებრივ მდგომარეობაში სრულიად უძლიერა. ჩვენ უზილავთან ბრძოლისკენ მოგვინოდებენ: ახალი მიზნის, ცხოვრების, ახალი შესისავენ მოგვიხმობენ, მაგრამ ეს ჩვენს ძალებს აღემატება. თვით მოციქულებმაც კი, როცა მოძღვრის სწავლებას ისმენდნენ, გაგონებულბამ იკითხეს: „ვითარ შესაძლებელი არს ესე?“ („როგორაა ეს შესაძლებელი?“). მართლაც, არაა ადვილი უარის თქმა ცხოვრების წერილმან იდეალზე, რომელიც ყოველდღიური საზრუნავისაგან, ცხოვრებისეული სახარების მუდმივი ძიებისაგან, სიამოვნებებისაგან შედგება - ყველაფრისგან, რაც ასე შორსაა ჩვენი ნამდვილი მიზნის - სრულყოფილებისაგან: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მთ. 5,48). სოფელი ესე მთელი მისი „მასმედით“ გვეუბნება: იყავით მადნიერნი, იცხოვრეთ უზრუნველად, იარეთ ფართო გზით. ქრისტე კი სახარების მიერ გვეუბნება: იარეთ ბრძოლისა და ტანჯვის ვიწრო გზით, რადგან ეს ნამდვილი ბედნიერების ერთადერთი გზაა. ეკლესიის დახმარების გარეშე როგორ უნდა გავხედოთ ეს სამინელი არჩევანი, როგორ შევძლოთ მონანიება და იმ ნათელ და სიხარულით აღსავსე ალთქმასთან დაბრუნება, რომელსაც

თარი წარმოდგენა არ გვექონია? დასაბამიდან და დღემდე საეკლესიო ღვთისმსახურება ერთადერთი შესასვლელია ამ სასუფეველში, ახალ ცხოვრებასთან ზიარება. ეკლესია თავისი ლიტურგიკული ცხოვრების საშუალებით გვიცხადებს იმას, „რომელიც თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელიც განუმზადა ღმერთმან მოყუარეთათვისთა“ (1 კორ. 2,9). პასექი ამ ლიტურგიკული ცხოვრების ცენტრია, მისი გული და მწვერვალია, მზეა, რომლის სხივები ყველგან აღწევს. ყოველ წელიწადს იხსნება კარი ქრისტეს სასუფეველის ბრწყინვალეებისკენ, გვეძლევა წინასწარი შეგრძნება ჩვენითვის ალთქმული მარადიული სიხარულის, მთელი ქვეყნიერების აღმსვები დიდებისა და გამარჯვებისა: „სიკვდილი აღარ არსებობს“. მთელი საეკლესიო ღვთისმსახურება აგებულია აღდგომის დღესასწაულის ირგვლივ; ამიტომაც საწელიწადო სალიტურგიკო წრე, დღესასწაულთა და მარხვით მიმდევრობა აღდგომისაკენ მიმართულ მოგზაურობადა წარმოგვიდგება. ეს დასასრულია, რომელიც ამავე დროს, დასაწყისიცაა: ყოველდღე ძველის დასასრული და ახალი ცხოვრების დასაწყისი, ქრისტეს მიერ განცხადებულ სასუფეველში ამა სოფლიდან განუწყვეტელი გადასვლა.

მაგრამ ძველი ცოდვიანი და წერილმანი ცხოვრების დამარცხება და შეცვლა არც ისე ადვილია. სახარება ადამიანისაგან ითხოვს ძალისხმევას, რომლისთვისაც იგი თავისი ჩვეულებრივ მდგომარეობაში სრულიად უძლიერა. ჩვენ უზილავთან ბრძოლისკენ მოგვინოდებენ: ახალი მიზნის, ცხოვრების, ახალი შესისავენ მოგვიხმობენ, მაგრამ ეს ჩვენს ძალებს აღემატება. თვით მოციქულებმაც კი, როცა მოძღვრის სწავლებას ისმენდნენ, გაგონებულბამ იკითხეს: „ვითარ შესაძლებელი არს ესე?“ („როგორაა ეს შესაძლებელი?“). მართლაც, არაა ადვილი უარის თქმა ცხოვრების წერილმან იდეალზე, რომელიც ყოველდღიური საზრუნავისაგან, ცხოვრებისეული სახარების მუდმივი ძიებისაგან, სიამოვნებებისაგან შედგება - ყველაფრისგან, რაც ასე შორსაა ჩვენი ნამდვილი მიზნის - სრულყოფილებისაგან: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამი თქუენი ზეცათაი სრულ არს“ (მთ. 5,48). სოფელი ესე მთელი მისი „მასმედით“ გვეუბნება: იყავით მადნიერნი, იცხოვრეთ უზრუნველად, იარეთ ფართო გზით. ქრისტე კი სახარების მიერ გვეუბნება: იარეთ ბრძოლისა და ტანჯვის ვიწრო გზით, რადგან ეს ნამდვილი ბედნიერების ერთადერთი გზაა. ეკლესიის დახმარების გარეშე როგორ უნდა გავხედოთ ეს სამინელი არჩევანი, როგორ შევძლოთ მონანიება და იმ ნათელ და სიხარულით აღსავსე ალთქმასთან დაბრუნება, რომელსაც

ყოველწელიწადს აღდგომის დღეს გვაძლევს ეკლესია? სწორედ ამისთვისაა საჭირო მარხვა. ეს დახმარების ხელია, რომელსაც ეკლესია გვიწვდის; სინანულის სკოლაა, რომელსაც ერთადერთს ძალუძს ჩვენი მომზადება იმისთვის, რომ შევხვდეთ აღდგომას, არა მხოლოდ როგორც ჭამის, სმისა და დასვენების ნებართვას, არამედ როგორც ჩვენში არსებული „სიძველის“ ნამდვილ აღსასრულსა და ახალ ცხოვრებაში შესასვლელს.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში მარხვის უმთავრესი ამოცანა იყო კათაქმეველთა, ანუ ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულთა მომზადება ნათლისღებისათვის, რომელიც სააღდგომო ლიტურგიისას სრულდებოდა. მაგრამ მაშინაც, როცა ეკლესია იშვიათად ნათლავს მოზრდილებს, და როცა თვით კათაქმელობის ინსტიტუტი (დანესებულება) აღარ არსებობს, დიდი მარხვის მთავარი მნიშვნელობა იგივე რჩება. რადგანაც მიუხედავად ამისა, რომ მონათლულნი ვართ, ჩვენ ნამდვილად ვკარგავთ და ვლაღობთ იმას, რაც ნათლისღებისას მივიღეთ. ამიტომაც აღდგომის დღესასწაული ჩვენი ყოველწლიური დაბრუნებაა ჩვენს საკუთარ ნათლისღებასთან, დიდი მარხვა კი გვაშინებს ამ დაბრუნებისთვის, განუწყვეტელი ძალისხმევისთვის, რომელიც პასექისაკენ, ქრისტეს მიერ ახალ ცხოვრებაში საბოლოო გადასვლისკენ მიგვიძღვის. ჩვენ ვნახავთ, რომ დიდი მარხვის ღვთისმსახურება დღემდე ინარჩუნებს პირვანდელ ხასიათს, მისთვის დამახასიათებელ სახეს, შეგონებისას, თითქოს კვლავ ნათლისღებისათვის მომზადებას გულსისხმობდეს. მაგრამ ეს არაა წარსულის „არქეოლოგიური“ ნაშთები, არამედ ჩვენითვის ნამდვილად არსებითი რამ. ამიტომაც დიდი მარხვა და აღდგომის დღესასწაული ყოველ წელს ახალ აღმშენებელ გვევლინება და გვძენს იმას, რაც მოგვეცა მაშინ, როცა ჩვენი ნათლისღებისას მოგვკვდიდა და მკვდრეთით აღვდგეთ.

მოგზაურობა, მომლოცველობა! მაგრამ როცა დიდი მარხვის „ნათელ სევდაში“ ვაბიჯებთ, ვხედავთ, რომ გზის დასასრული შორსაა, ძალიან შორს. ჩვენი მიზანი, დასასრული გზისა, - სააღდგომო სიხარულია, ზეციური სასუფეველის დიდების ბრწყინვალეობაში შესვლა. და ამ შორეული ნათლის ანარეკლი გვიხატებს „მარხვის ყმუნვას“, „სულიერ განაფხულად“ აქცევს მას. ღამე შეიძლება ხანგრძლივი და ბნელი იყოს, მაგრამ მთელი გზის განმავლობაში გვეჩვენება, რომ ჰორიზონტს რიყრავის იდუმალი და კამკამა სხივი ანათებს. ნუ ხუტუნულ-მყუდრ სასოვარეობას ჩუენისა (ნუ დამაცარებლებ იმედისაგან), კაცთმოყვარეო!

მონატრება

რუსულან ჯანიკაშვილი-ნატროშვილი

ერთი წელი ხდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან გვიჭირს უშენობა ყველას. პირველ რიგში შენს მეუღლეს - რობიზონ ნატროშვილს, რომელთანაც თანაცხოვრების ათეული წლები გაატარა. შენი გარდაცვალების შემდეგ მან შეება ეკლესიურ ცხოვრებაში ჰპოვა, სისტემატურად ლოცულობს შენი სული-სათვის, ყოველდღე დადის შენს საფლავზე და უწინდელივით გვესაუბრება. ყველა გამხრევებით მას, თუმცა, არც ჩენთვის არის ადვილი გადასატანი უშენობა. ოთხი შვილის, ექვსი შვილიშვილის და ერთი შვილთაშვილის პატრონმა თან ნაიღე დიდი სიყვარული და დავგიტოვე მაღლიერების დიდი გრძობა, რომელიც შენს მიერ განუვლი შრომისა

და ამაგის საპირწონე ვარასოდეს იქნება, რადგან ბუნების მიმდევარა და წყნარს, სიყვარულის და სიკეთის გაცემის დიდი უნარი გქონდა. გიყვარდა შენი ოჯახი, შენი ქვეყანა და საქმე, რომელსაც ათეულობით წელი ემსახურე. საბავშვო ბაღის აღმზრდელი გერქვა და მართლაც მრავალი თაობა აღზარდე. მათ გულშიც იცხოვრებ, როგორც ძვირფასი „რუსულან დიმიტრიევანა“ მოდის 18 მარტი, ჩვენთვის ძვირფასი, მაგრამ ტკივილიანი დღე, რადგან პირველად აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს უშენოდ. 74 წელი შეგისრულდებოდა. ეს არც ცოტაა, მაგრამ არც ბევრია. მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, რომელიც შენ ასე გიყვარდა,



აგინებთ სანთლებს და კიდევ ერთხელ შეგავედრებთ უფალს, რათა სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. შენი ოჯახი

ლალი მაქლარაშვილი



ჩემო საყვარელო შვილო, ლალი, უკვე მეთედ მოვიდა შენი საყვარელი გაზაფხულის თვე - მარტი. შენ ხომ მარტის

თვეში ხარ დაბადებული. ოცდახუთი წელი გვიხაროდა 19 მარტის მოსვლა შენს ახლობლებს. ახლა კი ცრემლით და დიდი გულის ტკივილით ვხვდებით ამ დღეს. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები და გვიყვარხარ ყველას. შენს დას და დისშვილებს ძალიან ენატრები. ჩემო შვილო, შენმა ჭკვიანმა და უთქმელმა მამამ მე დამტოვა და შენთან წამოსვლა არჩია. ათი წლის უნახავი შვილი გულში ჩავიკრა. ჩახუტეთ შეილო, ერთმანეთს, ისე, როგორც ამ სურათში ხართ. ასე იყავით ჩახუტებულები ჩემს მოსვლამდე. მარია მაქლარაშვილი

ნაირა ბიკაშვილი

17 მარტი შენი დაბადების დღეა, ნაირა, ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია შენი წარსულში გახსენება. შენი ძმებისა და შენი ერთადერთი შვილისთვის. გვაკლიხარ და უზომოდ განვიცდი შენს უდროოდ წასვლას ამ ქვეყნიდან. მოგვკლდა შენი სითბო და სიყვარული, რომელსაც უზად უნანილები შენს ძმებსა და შვილს, მაგრამ ამ დიდ სიყვარულს ხელი შეუშალა შენმა უკურნებელმა სენმა. ვერ გაიზარე ის დიდი სიხარული, რაც ლექსოს გაზრდამ მოგვიტანა. ნაირა, ძალიან მიჭირს იმ დიდი მისიის შესრულება, რასაც შენი სანატრელი შვილის ოჯახის მოფერება, მიღება და თბილისში გასტუმრება ჰქვია. ძალიან გინდოდა ეს ყველაფერი შენ გეკეთებინა, მაგრამ არ დაგაცალა უკურნებელმა სენმა. ჩვენ ყველა მოვალთ 17 მარტს



შენს საფლავზე, აგინებთ წმინდა სანთლებს, ყვავილებით შევაკობთ და ვილოცებთ შენი სულისთვის. ჩვენს მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა სამუდამო სასუფეველში. მეტი რა შეგვიძლია გისურვოთ! აქ კი გაგიმრავლდეს და გაგიძლიერდეს შენი ნოდარი. შენი ზურა და ნინა.

მზის რეცხვით ნასაზრდოეზი



მა თანამოკალმეებს. „მიყვარხართ და მეიმედებით, ჩემო ძვირფასებო! მე თქვენით ვამაყობ! რა ბედენაა, შემოქმედი (თანაც ჭეშმარიტი) სად იმოდენაებს?... თქვენ დიდ და კურთხეულ მინა-წყალზე ცხოვრობთ. თქვენი შემოქმედება საესეა-

14 მარტს თბილისში, სამეზობლო საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში, გაიმართა დედოფლისწყაროს მწერალთა ასოციაციის მიერ გამოცემული წიგნის „სალბუნი 3“-ის პრეზენტაცია. ამ საღამოს ორგანიზატორი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი გახლდათ. შეხვედრაც მას მიჰყავდა. მასთან ერთად იყო თემურ ჩალაბაშვილიც, ნიჭიერი პოეტი და ჩვენი თანამემამულე, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, რომელიც წიგნიდანვე თბილად მიესალ-

აღაზნის ველის სიუხვითა და სიდარბაისლით. გაჯერებულია - ერთგულებითა და ზნეკეთილობით. ყველას გეფერებით! გაუნოდოთ ერთმანეთს ლექსები; ვითარც შოთი პური, გუდის ყველი და ზედ დაყოლებული ჩვენებული ზედაშის ღვინო...“ - ასეთი თბილი სიტყვებით კიდევ ერთხელ მიეფერა ის თანამემამულეებს. შეხვედრა მალე პოეზიის საღამოდ გადაიქცა, სადაც ქართული სიტყვის ცეცხლი დაანთეს ზაურ გონაშვილმა და ზიზო ბურდულმა, თამაზ ნიკლაურმა და ლევან ალავერდაშვილ-

მა, ვასილ ბოსტაშვილმა და გია გუგენიშვილმა, ქეთევან ნათელაძემ და რუსუდან ყოჩიაშვილმა...

შეხვედრაზე საკმაოდ მოკრძალებული გახლდათ „სალბუნი 3“-ის სულისჩამდგმელი ჯუმბერ უთრუთაშვილი, რომელსაც მაყვალა გონაშვილმა მადლობა გადაუხადა და დიპლომი გადასცა-ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის მას ქართული კულტურის ამადარის წოდება მიენიჭა.

პრეზენტაციაზე კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ბალაშვილსა და გამგებელს ნიკოლოზ შანშიაშვილს წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის. ადგილობრივი ხელისუფლების სახელით ალმანახის გამოსვლა მიულოცა პოეტებს დედოფლისწყაროს საკრებულოს აპარატის უფროსმა ხათუნა გონაშვილ-

მა, ვასილ ბოსტაშვილმა და გია გუგენიშვილმა, ქეთევან ნათელაძემ და რუსუდან ყოჩიაშვილმა...
სო პოეტების ლექსებია თავმოყრილი, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც მწერლობის ფართო წრეებში აღიარებული არიან. შეეხნენ ახალგაზრდა თაობასაც. თქვეს, რომ დედოფლისწყაროელი პოეტების სახით საქართველოს მწერლობას ღირსეული ცვლა ეყოლება. საღამო საკმაოდ თბილი გამოვიდა, მიუხედავად იმისა,

ბით დავამთავრებ: „პოეზიის მზითაა გამთბარი ალმანახ „სალბუნის“ ყოველი ფურცელი, ყოველი სტრიქონი დასტურია იმისა, რომ საქართველო მართლაც მგოსანთა მხარეა. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს მშობლიურ მხარეს ამდენი ნიჭიერი ავტორი ჰყავს, რომელთა შემოქმედება კახეთის მადლიანი მიწის ბარაქითა



რომ იმ დღეს დარბაზში სიცხე მძლავრობდა, დარბაზს პოეზიის და სიყვარულის ცეცხლი ათბობდა, იმ დღეს უხვად რომ იღვრებოდა...

მე კი წერილს პოეტ მაყვალა გონაშვილის სიტყვე-

და მწველი მზის ცეცხლითაა ნასაზრდოები. მჯერა, ახალი ალმანახი კვლავ სალბუნივით მოედება პოეზიის მოყვარულთა სულს.“

ინგა შიოლაშვილი

უხვი მოსავალი — ნაკლები ხარჯი თხავალი ორგანული სასუქი „ორგანიკა“

თხევადი ორგანული სასუქი „ორგანიკა“ არის ქართული წარმოების ერთადერთი სასუქი, რომელსაც მოპოვებული აქვს ევროკავშირის ბიო სერტიფიკატი. 2011 წელს მიჩნეულ იქნა საუკეთესო ბიოინოვაციად. მიენიჭა ხარისხის ნიშანი QC100 და ლონდონის გალა ცერემონიაზე დაჯილდოვდა საერთაშორისო ხარისხის ოქროს გვირგვინით. „ორგანიკა“ ოფიციალურად დაშვებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად როგორც საქართველოში, ასევე ევროპის ქვეყნებში.



სასუქი განსაკუთრებით ეფექტურია ორგანულ მეურნეობებში და გამოიყენება ისეთი კულტურების მოსაყვანად, როგორცაა:

- ვაზი
- სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა და სხვა მარცვლოვანი კულტურები
- თბილი და მრავალწლიანი ნარგავები
- საზამთრო, წესვი, მარწყვი და ბალჩყული
- მწვანილი, ხახვი, ნიორი და სხვა ბოსტნეული
- კივი, ლიმონი, მანდარინი და სხვა ციტრუსები.

მომხარების კონკრეტული წესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და სასუქის შესაძენად (1 ლიტრი — 6 ლარი) შეგიძლიათ მიმართოთ კახეთის თითქმის ყველა რაიონსა და სოფელში მდებარე შხამქიმიკატების მაღაზიებს და სხვა სარეალიზაციო პუნქტებს. ასევე, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომრებზე:

5(99) 14 28 57, www.organica.ge
გურჯაანი: 599 33 40 20
თელავი: 599 54 64 92
საგარეჯო: 577 95 58 46
სიღნაღი: 599 96 55 28; 599 64 79 14
დედოფლისწყარო 599 799 399

სუფთა მინა — ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი

ნიკა ჩიტვილი ევრაზიის ჩემპიონი გახდა



10-11 მარტს ქ.თბილისში ჩატარდა ევრაზიის თასის გათამაშება კუნგ-ფუ სანდაში, სადაც დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბიც მონაწილეობდა. ასეთი მასშტაბის ტურნირზე ჩვენს კლუბს არასოდეს მიუღია მონაწილეობა, ტურნირზე ასპარეზობდნენ 6 ქვეყნის სპორტმენები: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირა-

ნის, ერაყის და რუსეთის ნაკრები გუნდები. ძალიან დაძაბული შეჯიბრი იყო და ჩვენს სპორტსმენებსაც დაძაბული ბრძოლის გადატანა მოუწიათ საკმაოდ ძლიერ მონინალმდევებთან. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნიკა ჩიტვილის ორთაბრძოლები, რომელიც ტელეკომპანია „იმედმა“ გააშუქა. ნიკამ სამი მეტოქის დამარცხება შეძლო და ევრაზიის ჩემპიონის ტიტულსაც დაეუფლა. ასევე მინდა აღინიშნოს ლაშა ლათიბაშვილის, გიორგი ნატროშვილის და ლევან თეთრაულის გამოსვლა, რომელთაც ლამაზი ორთაბრძოლები აჩვენეს, მათ დამსახურებული მეორე ადგილები ერგოთ, ხოლო მესამე ადგილებზე გავიდნენ ნაპობ ალიევი და სანდრო სამხარაძე. შეჯიბრი ჩატარდა საქართველოს კუნგ-ფუს ფედერაციის, საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის, სპორტის სამინისტროს და თბილისის მერიის ორგანიზებით. ეს შეჯიბრი ჩვენი სპორტსმენებისთვის

დიდი გამოცდილების მომტანი იყო და გუნდებს შორის გაცნობით ხასიათსაც ატარებდა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადაუხადოთ, მთელი ჩვენი კლუბის სახელით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობას და კულტურისა და სპორტის ცენტრს გვერდში დგომისთვის და ფინანსური მხარდაჭერისთვის. რომ არა მათი ძალისხმევა, ჩვენ ვერ მოვახერხებდით ამ ტურნირზე გამგზავრებას. მათ სრულად დააფინანსეს ყველა ჩვენი ხარჯი. ევრაზიის ჩემპიონი გახდა: ნიკა ჩიტვილი 35კგ (პირველი საჯარო სკოლა). მეორე ადგილებზე გავიდნენ: ლაშა ლათიბაშვილი 65კგ (მეორე საჯარო სკოლა), გიორგი ნატროშვილი 70კგ და ლევან თეთრაული 85+ კგ. მესამე ადგილები წილად ხვდით ნაპობ ალიევის 85+ კგ და სანდრო სამხარაძეს 65კგ (სოფ. ხორნაბუჯის საჯარო სკოლა).

მწვრთნელი
გიორგი ცინკარაშვილი

ამინდი		დედოფლისწყარო											
შაბათი 17.03	კვირა 18.03	ორშაბათი 19.03	სამშაბათი 20.03	ოთხშაბათი 21.03	ხუთშაბათი 22.03	პარასკევი 23.03							
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
1°	-6°	4°	-1°	4°	2°	8°	4°	9°	5°	3°	0°	3°	2°

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხერბიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორექსორენტები); მინაილ მღაზრიშვილი (სტილისტ-მწევერი); ნათელა შოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მწევერი); მზინა ქანუაშვილი (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადლდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. დაბეჭდა შპს „სარაპი“ სტამბაში	რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფრონისძის №18, ტელ. 8 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 599 25-17-44 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	--	--	---